ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N82

2022 წლის 27 დეკემბერი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. ზოიძე) თანხმობა გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს|კ 20.42.08.500) 226,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მრავალპროფილური ობიექტის განთავსების მიზნით ფ/პ ვახტანგ აბაშიძეს;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, მ. აბაშიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ 4585,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.08.500) 226,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის საწყისი წლიური საიჯარო საფასური განისაზღვროს 2260 (ორიათას ორასსამოცი) ლარის ოდენობით;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი